პროექტი

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29.12.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.018717) შეტანილ იქნეს შემდეგ ცვლილება:

1. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგო

1.სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის (გარდა საქართველოს პარლამენტის წევრისა) თანამდებობრივი სარგო დგინდება ამ კანონის №3 დანართის №3 ცხრილით გათვალისწინებული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით და აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

2. საქართველოს პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტები დგინდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის N3 დანართი N3 ცხრილით გათვალისწინებულ უმაღლესს კოეფიციენტს.

2. კანონის N3 დანართის N3 ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ცხრილი №3

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი
საქართველოს პრეზიდენტი	10.00
საქართველოს პრემიერ-მინისტრი	10.00
საქართველოს მინისტრი/სახელმწიფო მინისტრი	8.50
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე	8.50
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე	8.50
საქართველოს მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	7.50
საქართველოს მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის მოადგილე	7.25

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	6.50
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის/ფრაქციის თავმჯდომარე	6.00
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი	6.00
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველი მოადგილე	5.25
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის/ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5.00
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე	5.00
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი	5.00

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**